Vaziani
Martkopi vilage,
Gardabani disttrict
Georgia

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“

Марткопи,Вазиани
Гардабанский р-он,
Грузия

E-mail. zdoilcompany@gmail.com ID 404440501
საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი

№ 58-07/22
15.07.2022

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
18 07 2022 წ.
№ 3305

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს "ზდ ნავთობის კომპანიას" (ს/კ 404440501)
დირექტორის ბადრი ბუთხუზის
ელ.ფოსტა. zdoilcompany@gmail.com;
Kapanadze_62@mail.ru
მობ: 599 55-66-36; 599 10-50-00

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს "ზდ ნავთობის კომპანიას" გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანის ტერიტორიაზე ფლობს ნავთობგადამამუშავებელ მინი ქარხანას (GPS კოორდინატები X - 503235.0; Y – 4616763.0), რომელზეც სამინისტროს მიერ 2020 წლის 27 ივლისის N2-656 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (2014 წლის 04 ივნისის N32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე).

აღნიშნულ საწარმოში 2020 წელს დაიგეგმა სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40700 მ3-მდე და მომზადდა სკრინინგის ანგარიში, რომლის საფუძველზე ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (სკრინინგის გადაწყვეტილება N 2-812, 11/09/2020) და საწარმოს დაევალა „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“, „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის“ და ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება, რაც შესრულებულ იქნა.

გაცნობებთ, რომ ექსპლუატაციის პირობების ფარგლებში, დაგეგმილია საწარმოში ნედლი ნავთობის გადამუშავებით მიღებული დიზელის საწვავის გოგირდის მოცილებისათვის PPGT-UC-SDS მარკის ჰიდრავლიკური კავიტაციით დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის მონტაჟი და ორი ცალი, თითოეული 100 მ3 მოცულობის მიწისზედა ვერტიკალური შემრევი რეზერვუარის მოწყობა და ჩართვა ტექნოლოგიურ სქემაში. ამასთან. საწარმოში არ მოხდა სამი ერთეული, 5000, 2000 და 1000 მ3 რეზერვუარის მშენებლობა (მომავალშიც არ იგეგმება). ამდენად სარეზერვუარო პარკის მთლიანი ჯამური მოცულობა ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შემდეგ შემცირდება და გახდება 32900 მ3-ის მოცულობის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით (სარეზერვუარო პარკში ჯამური მოცულობის ცვლილება და

PPGT-UC-SDS მარკის ჰიდრავლიკური კავიტაციით დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის მონტაჟი) წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი 1. სკრინინგის ანგარიში;
დანართი 2. დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის საპასპორტო მონაცემები.

განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);

პატივისცემით

დირექტორი

ბადრი ბუთხუზი